

ნანა ჯაფარიძე • მაია წილოსანი • ნანი წულაია

# მასწავლებლის წიგნი





ნანა ჯაფარიძე • მაია წილოსანი • ნანი წულაია

# მათემატიკა 11

მასწავლებლის წიგნი



გაკურსულაკაურის  
გამომცემლობა



## ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....	5
ეროვნული სასწავლო გეგმა.....	6
წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები.....	7
შინაარსისა და მიზნების რუკა.....	11
მოსწავლის შეფასების სისტემა.....	14
გთავაზობთ რამდენიმე გაკვეთილის სანიმუშო სცენარს.....	17
<b>I თავი.....</b>	<b>22</b>
1. ტრიგონომეტრიული ფუნქციები და მათი თვისებები.....	22
2. დამოკიდებულება ერთი და იმავე არგუმენტის ტრიგონომეტრიულ ფუნქციებს შორის.....	23
3. ტრიგონომეტრიულ გამოსახულებათა გამარტივება, იგივეობათა დამტკიცება.....	24
4. ორი არგუმენტის ჯამისა და სხვაობის ტრიგონომეტრიული ფუნქციები.....	25
5. ორმაგი კუთხის ტრიგონომეტრიული ფუნქციები.....	25
6. დაყვანის ფორმულები.....	26
7. ამოცხსნათ ტრიგონომეტრიული განტოლება.....	27
<b>II თავი.....</b>	<b>31</b>
1. წრფეთა პარალელურობის ნიშანი.....	31
2. წრფისა და სიბრტყის პარალელურობა.....	31
3. სიბრტყეთა პარალელურობა.....	32
4. ამოცანები კვეთების აგებაზე.....	33
<b>III თავი.....</b>	<b>35</b>
1. ხარისხი ირაციონალური მაჩვენებლით.....	35
2. მაჩვენებლიანი ფუნქცია.....	35
3. ლოგარითმი.....	36
4. ლოგარითმის თვისებები.....	37
5. შექცეული ფუნქცია.....	39
6. ლოგარითმული ფუნქცია.....	40
7. მაჩვენებლიანი და ლოგარითმული განტოლებები.....	40
8. მაჩვენებლიანი და ლოგარითმული უტოლობები.....	43
9. ნახევრადლოგარითმული ბადე.....	45
<b>IV თავი.....</b>	<b>48</b>
1. ფიგურათა პარალელური დაგეგმილება.....	48
2. კუთხე ორ წრფეს შორის. წრფეთა მართობულობა.....	49
3. წრფისა და სიბრტყის მართობულობა.....	50
4. წრფისა და სიბრტყის მართობულობის ნიშანი.....	51
5. პარალელურ სიბრტყეებს შორის მანძილი.....	53
6. სამი მართობის თეორემა.....	53
7. კუთხე წრფესა და სიბრტყეს შორის.....	55
8. ორწახნაგა კუთხე.....	57
9. მართობული სიბრტყეები. სიბრტყეთა მართობულობის ნიშანი.....	60

<b>V თავი</b> .....	<b>67</b>
1. მიმდევრობა .....	67
2. მათემატიკური ინდუქციის მეთოდი .....	67
3. მიმდევრობის ზღვარი .....	70
4. ზოგიერთი თეორემა ზღვართა შესახებ .....	71
5. უსასრულოდ კლებადი გეომეტრიული პროგრესია .....	72
<b>VI თავი</b> .....	<b>75</b>
1. ვექტორის კოორდინატები .....	75
2. ვექტორების შეკრება-გამოკლება .....	75
3. ვექტორის გამრავლება რიცხვზე. კოლინეარული ვექტორები .....	75
4. ორი ვექტორის სკალარული ნამრავლი .....	76
5. ბრუნვითი სხეულები, ცილინდრი .....	76
6. კონუსი .....	77
7. სფერო, ბირთვი .....	77
<b>VII თავი</b> .....	<b>79</b>
1. კომბინატორული ამოცანები .....	79
2. გადანაცვლება, წყობა .....	80
3. ჯუფთება .....	81
4. წყობა განმეორებით .....	82
5. ამოვსხნათ ამოცანები ალბათობათა თეორიიდან .....	83
6. გეომეტრიული ალბათობა .....	85
7. დაგროვილი სიხშირე. რანგი .....	86
8. ოგივა .....	88
9. ცენტრალური ტენდენციის საზომები .....	89

## შესავალი

XI კლასში მათემატიკის საგნის სწავლების ძირითადი მიზანია მოზარდში კვლევის ჩვევის, აგრეთვე ანალიტიკური, ლოგიკური, სისტემური და სიმბოლური აზროვნების გამომუშავება. მათემატიკის სწავლამ მოსწავლეს უნდა შესძინოს ის უნარ-ჩვევები, რომელიც მას დაეხმარება ცხოვრებისეული, პრაქტიკული პრობლემების გადაჭრაში.

ეროვნული სასწავლო გეგმის დანიშნულებაა დაეხმაროს სასკოლო განათლების პროცესის მონაწილეებს ამ პროცესის დაგეგმვასა და წარმართვაში.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში აღწერილია ის სავალდებულო მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ყველა მოსწავლე სასწავლო წლის დასრულების მერე. ეს მოთხოვნები თითოეული მიმართულებისათვის შედეგებისა და მათი ინდიკატორების ენაზეა ჩამოყალიბებული.

შედეგი არის დებულება იმის შესახებ, თუ რა უნდა შესძლოს მოსწავლემ სწავლის მოცემული საფეხურის დასრულების შემდეგ.

ინდიკატორი არის დებულება იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების დემონსტრირების შესახებ, რომელიც ჩამოყალიბებულია შესაბამის შედეგში. ინდიკატორის ძირითადი დანიშნულებაა იმის წარმოჩენა, მიღწეულია თუ არა შედეგი. ინდიკატორი ორიენტირებულია უნარ-ჩვევებზე და ჩამოყალიბებულია აქტივობის ენაზე.

XI კლასის წარმოდგენილი სახელმძღვანელოს დანიშნულებაა ხელი შეუწყოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

სახელმძღვანელო ფარავს სტანდარტის ყველა შედეგს.

მასალის მიწოდების ძირითადი მეთოდური ორიენტირია პრობლემური თხრობა. მოსწავლე არის გაკვეთილის ახსნის აქტიური მონაწილე.

გაგაცნობთ წიგნის სტრუქტურას.

თითქმის ყველა პარაგრაფი იწყება სიტუაციური ამოცანით, მაპროგოცირებელი შეკითხვით ან ისეთი ამოცანით, რომელიც მოსწავლისაგან კვლევას მოითხოვს და რომელიც იძლევა ვარაუდის გამოთქმის საშუალებას. გაკვეთილის ეტაპები გამოყოფილია აქტივობებით, რითაც ხდება ახალი მასალის ათვისების შემოწმება და გაღრმავება. ვარსკვლავით მონიშნულია ამოცანები მაღალი შეფასებისათვის.

მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნში მოცემულია რამოდენიმე გაკვეთილის სცენარი, აქტივობების მიზანი, დანიშნულება, სავარაუდო და სწორი პასუხები, საკონტროლოს ნიმუშები. მოცემულია შეფასების ძირითადი მდგენელები, დამხმარე ლიტერატურა მასწავლებლისათვის.

აგრეთვე გთავაზობთ სავარაუდო საათობრივ განაწილებას. სარეზერვო საათები გვაძლევს საშუალებას, რომ ზოგიერთ გაკვეთილს მასწავლებელმა მეტი დრო დაუთმოს, გამოიყენოს თავის შეხედულებისამებრ.

## ეროვნული სასწავლო გეგმა

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები მიმართულებების მიხედვით:

რიცხვები და მოქმედებები	კანონზომიერებები და ალგებრა	გეომეტრია და სივრცის აღქმა	მონაცემთა ანალიზი, ალბათობა და სტატისტიკა
<p><b>XI.1.</b> მოსწავლეს შეუძლია რიცხვთა პოზიციური სისტემების/ ნამდვილ რიცხვთა სიმრავლეების ერთმანეთთან დაკავშირება.</p> <p><b>XI.2.</b> მოსწავლეს შეუძლია ნამდვილ რიცხვებზე მოქმედებების შესრულება სხვადასხვა ხერხით და ამ მოქმედებათა შედეგის შეფასება.</p> <p><b>XI.3.</b> მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა-დასაბუთების სხვადასხვა ხერხების გამოყენება</p> <p><b>XI.4.</b> მოსწავლეს შეუძლია პრაქტიკული საქმიანობიდან მომდინარე პრობლემების გადაწყვეტა.</p>	<p><b>XI.5.</b> მოსწავლეს შეუძლია ფუნქციებისა და მათი თვისებების გამოყენება რეალური ვითარების მოდელირებისას.</p> <p><b>XI.6.</b> მოსწავლეს შეუძლია გრაფიკული, ალგებრული მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენება ფუნქციის/ ფუნქციათა ოჯახის თვისებების შესასწავლად.</p> <p><b>XI.7.</b> მოსწავლეს შეუძლია დისკრეტული მათემატიკის ცნებებისა და აპარატის გამოყენება მოდელირებისას და პრობლემების გადაჭრისას.</p>	<p><b>XI.8.</b> მოსწავლეს შეუძლია ვექტორებზე ოპერაციების შესრულება და მათი გამოყენება გეომეტრიული და საბუნებისმეტყველო პრობლემების გადაჭრისას.</p> <p><b>XI.9.</b> მოსწავლეს შეუძლია დედუქციურ/ ინდუქციური მსჯელობის და ალგებრული ტექნიკის გამოყენება გეომეტრიულ დებულებათა დასამტკიცებლად.</p> <p><b>XI.10.</b> მოსწავლეს შეუძლია გეომეტრიული გარდაქმნების დახასიათება და მათი გამოყენება გეომეტრიული პრობლემების გადაჭრისას.</p> <p><b>XI.11.</b> მოსწავლეს შეუძლია სივრცული ფიგურის კვეთებისა და გეგმილების გამოყენება სივრცული ფიგურის შესასწავლად.</p>	<p><b>XI.12.</b> მოსწავლეს შეუძლია დასმული ამოცანის ამოსახსნელად საჭირო მონაცემების მოპოვება.</p> <p><b>XI.13.</b> მოსწავლეს შეუძლია მონაცემთა წარმოდგენა ამოცანის ამოსახსნელად ხელსაყრელი ფორმით და მათი ინტერპრეტაცია.</p> <p><b>XI.14.</b> მოსწავლეს შეუძლია შემთხვევითობის ალბათური მოდელების საშუალებით აღწერა.</p> <p><b>XI.15.</b> მოსწავლეს შეუძლია მონაცემთა ანალიზი და დასკვნების ჩამოყალიბება.</p>

# წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები

## მიმართულება: რიცხვები და მოქმედებები

### XI.1. მოსწავლეს შეუძლია რიცხვთა პოზიციური სისტემების/ნამდვილ რიცხვთა სიმრავლეების ერთმანეთთან დაკავშირება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მოყავს ინფორმაციის ციფრული კოდირების/ტექნოლოგიების მაგალითები; აკავშირებს რიცხვის სხვადასხვა პოზიციურ სისტემაში ჩაწერას ერთმანეთთან (მაგალითად, *ორობით პოზიციურ სისტემაში ჩაწერილ რიცხვს წერს ათობით პოზიციურ სისტემაში*);
- ახდენს ირაციონალური რიცხვის რაციონალური რიცხვების მიმდევრობით მიახლოების დემონსტრირებას პრაქტიკულ ამოცანებთან დაკავშირებული გამოთვლების კონტექსტში;
- მსჯელობს რაციონალურ და ირაციონალურ რიცხვებს შორის განსხვავებაზე მათი პოზიციური სისტემის გამოყენებით ჩაწერისას.

### XI.2. მოსწავლეს შეუძლია ნამდვილ რიცხვებზე მოქმედებების შესრულება სხვადასხვა ხერხით და ამ მოქმედებათა შედეგის შეფასება.

- შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: ამარტივებს ნამდვილ რიცხვებზე მოქმედებების (მათ შორის ხარისხისა და ლოგარითმის) შემცველ გამოსახულებას ან პოულობს მის მნიშვნელობას მოქმედებათა თვისებების, თანმიმდევრობისა და მათ შორის კავშირის გამოყენებით;
- პოულობს არითმეტიკული მოქმედების შედეგს დასახელებული სიზუსტით; მსჯელობს შედეგის ცვლილებაზე და ცდომილებაზე, რომელიც გამოწვეულია გამოსახულების წევრების დამრგვალებით;
- იყენებს შეფასების სხვადასხვა ხერხს ნამდვილ რიცხვებზე შესრულებული გამოთვლების (მათ შორის ფესვი და ლოგარითმი მარტივ შემთხვევებში) შედეგის ადეკვატურობის შესამოწმებლად;
- ახდენს უსასრულოდ დიდი და უსასრულოდ მცირე სიდიდეების, მათზე მოქმედებებისა და მოქმედებათა შედეგის ინტერპრეტაციას, მიმდევრობის ან რომელიმე პროცესის ამსახველი ფუნქციის კონტექსტში.

### XI.3. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა-დასაბუთების სხვადასხვა ხერხების გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იყენებს საწინააღმდეგოს დაშვების მეთოდს ამოცანების ამოხსნისას ან რიცხვების შესახებ მარტივი დებულებების დამტკიცებისას (მაგალითად, *საწინააღმდეგოს დაშვებით ამტკიცებს რომელიმე რიცხვის ირაციონალურობას*);
- აყალიბებს და გამოსახავს რიცხვების თვისებების ან რიცხვითი კანონზომიერებების შესახებ გამონათქვამებს შორის კერძო/ზოგადი ტიპის მიმართებებს, იყენებს გამოსახვის ხერხს გამოთქმული მოსაზრების მართებულობის შემოწმებისას/დასაბუთებისას;
- რაოდენობებთან და სიდიდეებთან დაკავშირებული მსჯელობის ნიმუშზე ახდენს მსჯელობის ხაზის და დასკვნითი ნაწილის ანალიზს, აღნიშნავს მის სუსტ და ძლიერ მხარეებს.

#### **XI.4. მოსწავლეს შეუძლია პრაქტიკული საქმიანობიდან მომდინარე პრობლემების გადაწყვეტა.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იყენებს რიცხვის ხარისხსა და ლოგარითმს, ხარისხისა და ლოგარითმის თვისებებს პრაქტიკული საქმიანობიდან ან მეცნიერების სხვადასხვა დარგებიდან მომდინარე ამოცანების ამოხსნისას (მაგალითად, *ენტროპია ბიოლოგიასა და ფიზიკაში, რადიოაქტიული დაშლა და დათარიღების მეთოდები*);
- განსაზღვრავს და იყენებს შესაფერის ერთეულებს სიდიდის ცვლილების სიჩქარის აღსაწერად; ადგენს სხვადასხვა ერთეულებს შორის თანაფარდობას.

#### **მიმართულება: კანონზომიერებები და ალგებრა**

#### **XI.5 მოსწავლეს შეუძლია ფუნქციებისა და მათი თვისებების გამოყენება რეალური ვითარების მოდელირებისას.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იყენებს (ტრიგონომეტრიულ, უბან-უბან წრფივ, საფეხურებრივ, მაჩვენებლიან, ლოგარითმულ) ფუნქციებს და მათ თვისებებს რეალური პროცესების მოდელირებისას;
- ახდენს ფუნქციის ნულების, ფუნქციის მაქსიმუმის/მინიმუმის ინტერპრეტირებას იმ რეალური პროცესის/ვითარების კონტექსტში, რომელიც ამ ფუნქციით აღიწერება;
- იყენებს სიმრტყეზე წრფივი ოპტიმიზაციის მეთოდებს რეალურ ვითარებასთან დაკავშირებულ ამოცანებში (მაგალითად, *შეზღუდული რესურსების ეფექტიანად გამოყენების ამოცანებში*) წრფივის ფუნქციის მაქსიმუმის/მინიმუმის მოძებნისას.

#### **XI.6 მოსწავლეს შეუძლია გრაფიკული, ალგებრული მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენება ფუნქციის/ფუნქციათა ოჯახის თვისებების შესასწავლად.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იყენებს ფუნქციის გრაფიკის გეომეტრიულ ნიშნებს (მაგალითად, *საკოორდინატო დერძის პარალელური წრფის მიმართ სიმეტრიულობა, კოორდინატთა სათავის მიმართ ცენტრულად სიმეტრიულობა, პარალელური გადატანის მიმართ ინვარიანტულობა*) ფუნქციის თვისებების დასადგენად;
- იყენებს შესაფერის გრაფიკულ, ალგებრულ მეთოდებს ან ტექნოლოგიებს (ტრიგონომეტრიული, უბან-უბან წრფივი, საფეხურებრივი, მაჩვენებლიანი, ლოგარითმული) ფუნქციის ისეთი თვისებების დასადგენად, როგორცაა: ზრდადობა/კლებადობა, ნიშანმუდმივობა, პერიოდულობა/პერიოდი, ფესვები, ექსტრემუმები;
- აღწერს თუ რა გავლენას ახდენს ფუნქციის პარამეტრების ცვლილება ფუნქციის გრაფიკზე.

#### **XI.7 მოსწავლეს შეუძლია დისკრეტული მათემატიკის ცნებებისა და აპარატის გამოყენება მოდელირებისას და პრობლემების გადაჭრისას.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ასახელებს ისეთ სტრუქტურებს (მაგალითად, *მიმდევრობებს, ასახვებს; მათ შორის რეალურ ვითარებაში*), რომელთა აღწერისას შესაძლებელია რეკურენტული წესის გამოყენება; იყენებს რეკურენტულ წესს ასეთი სტრუქტურის აღსაწერად;
- დებულებების დამტკიცებისას, შესაბამის შემთხვევებში, იყენებს მათემატიკურ ინდუქციას (მათ შორის არითმეტიკულ/გეომეტრიულ პროგრესიასთან დაკავშირებული ზოგიერთი ფორმულის მისაღებად);
- იყენებს ხისებრ დიაგრამებს და გრაფებს ვარიანტების დასათვლელად, გეგმის/განრიგის შესადგენად, ოპტიმიზაციის დისკრეტული ამოცანების ამოსახსნელად.

## **მიმართულება: გეომეტრია და სივრცის აღქმა**

### **XI.8 მოსწავლეს შეუძლია ვექტორებზე ოპერაციების შესრულება და მათი გამოყენება გეომეტრიული და საბუნებისმეტყველო პრობლემების გადაჭრისას.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ახდენს ვექტორის სიგრძისა და მიმართულების, ვექტორებზე მოქმედებების (შეკრება, სკალარზე გამრავლება, სკალარული ნამრავლი) და მათი თვისებების გეომეტრიულ და ფიზიკურ ინტერპრეტაციას;
- იყენებს ვექტორებს გეომეტრიული დებულებების დასამტკიცებლად და ზომების დასადგენად სიბრტყეზე;
- იყენებს კოორდინატებს ვექტორებისა და ვექტორებზე ოპერაციების გამოსახვისას.

### **XI.9 მოსწავლეს შეუძლია დედუქციურ/ინდუქციური მსჯელობის და ალგებრული ტექნიკის გამოყენება გეომეტრიულ დებულებათა დასამტკიცებლად.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- პოულობს ლოგიკურ კავშირებს (მაგალითად, *გამომდინარეობა*) მოცემულ გეომეტრიულ დებულებებს შორის; იყენებს დედუქციურ და ინდუქციურ მსჯელობას;
- განაზოგადებს ცალკეულ გეომეტრიულ დებულებებს; აყალიბებს ჰიპოთეზას და ასაბუთებს/ უარყოფს მას (მათ შორის მათემატიკური ინდუქციის გამოყენებით; *მაგალითად, ეილერის ფორმულა სიბრტყეზე და სივრცეში*);
- მსჯელობს ევკლიდური გეომეტრიის აქსიომატიკის არაწინააღმდეგობრიობის შესახებ;
- იყენებს ალგებრულ გარდაქმნებს გეომეტრიულ დებულებათა დასამტკიცებლად.

### **XI.10 მოსწავლეს შეუძლია გეომეტრიული გარდაქმნების დახასიათება და მათი გამოყენება გეომეტრიული პრობლემების გადაჭრისას.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ასახელებს გეომეტრიული ფიგურის იმ მახასიათებლებს, რომლებიც არ იცვლება მოცემული გეომეტრიული გარდაქმნისას (გარდაქმნის ინვარიანტებს);
- ფიგურების შესახებ სხვადასხვა მონაცემების (მაგალითად, *ფიგურათა ზომები, ფიგურათა წვეროების კოორდინატები, ფიგურათა ელემენტებს შორის ალგებრული თანაფარდობები*) გამოყენებით ასაბუთებს ან უარყოფს ორი გეომეტრიული ფიგურის ეკვივალენტობას მოცემული გარდაქმნის ან გარდაქმნის ტიპის მიმართ.

### **XI.11 მოსწავლეს შეუძლია სივრცული ფიგურის კვეთებისა და გეგმილების გამოყენება სივრცული ფიგურის შესასწავლად.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს სივრცული ფიგურის კვეთის შესაძლო ფორმაზე და აგებს სივრცული ფიგურის მითითებულ კვეთას;
- პოულობს ფიგურის გეგმის მითითებული პარალელური დაგეგმილებისას;
- მსჯელობს სივრცული ფიგურის შესაძლო ფორმაზე მისი კვეთის/კვეთების მიხედვით;
- მსჯელობს ფიგურის შესაძლო ფორმაზე მისი ანასახის მიხედვით პარალელური დაგეგმილებისას.

## **მიმართულება: მონაცემთა ანალიზი, ალბათობა და სტატისტიკა**

### **XI.12 მოსწავლეს შეუძლია დასმული ამოცანის ამოსახსნელად საჭირო მონაცემების მოპოვება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ირჩევს და იყენებს მონაცემთა შეგროვების შესაფერის საშუალებას (დაკვირვება, გაზომვა, მითითებულ რესპონდენტთა ჯგუფის გამოკითხვა მზა ანკეტით/კითხვარით, მონაცემთა მოპოვება მონაცემთა სხვადასხვა წყაროებიდან), ასაბუთებს თავის არჩევანს;
- განსაზღვრავს რესპონდენტებს, ირჩევს კითხვების დასმის შესაფერის ფორმას (ღია კითხვები, დახურული კითხვები, უჯრედის მონიშვნა, შკალაზე მონიშვნა), ქმნის მარტივ კითხვარს და იყენებს მას მონაცემთა შესაგროვებლად;
- წარმოადგენს საკითხის შესასწავლად შესაფერისი ექსპერიმენტის გეგმას, ატარებს ექსპერიმენტს და აგროვებს მონაცემებს.

### **XI.13 მოსწავლეს შეუძლია მონაცემთა წარმოდგენა ამოცანის ამოსახსნელად ხელსაყრელი ფორმით და მათი ინტერპრეტაცია.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ირჩევს მონაცემთა წარმოდგენის შესაფერის გრაფიკულ ფორმებს, ასაბუთებს თავის არჩევანს, აგებს და განმარტავს ცხრილებს/დიაგრამებს (მათ შორის ინტერვალთა კლასებად დაჯგუფებული მონაცემებისათვის);
- ადგენს სიხშირეთა განაწილებას, წარმოადგენს მას გრაფიკული ფორმით და აღწერს მას სიმეტრიულობის, მოდების რაოდენობის, გაშლილობის ან სხვა ნიშნების საშუალებით;
- ერთი გრაფიკული ფორმით წარმოდგენილ მონაცემებს წარმოადგენს განსხვავებული გრაფიკული ფორმით და წარმოაჩენს თითოეული ფორმის ხელსაყრელ და არახელსაყრელ მხარეებს;
- ამოიცნობს დიაგრამის მცდარ ინტერპრეტაციებს ან არაკორექტულად აგებულ/გაფორმებულ დიაგრამებს, განმარტავს და ასწორებს ნაკლს.

### **XI.14 მოსწავლეს შეუძლია შემთხვევითობის ალბათური მოდელების საშუალებით აღწერა.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აღწერს შემთხვევითი ექსპერიმენტის ელემენტარულ ხდომილობათა სივრცეს, ითვლის დამოუკიდებელ ხდომილობათა ალბათობებს (მათ შორის ჯამის ალბათობის ფორმულების გამოყენებით);
- ითვლის რთულ ხდომილობათა ალბათობებს კომბინატორული ანალიზის გამოყენებით;
- შემთხვევითი ექსპერიმენტის ჩასატარებლად ერთ მოწყობილობას ცვლის მისი ეკვივალენტური სხვა მოწყობილობით და ასაბუთებს არჩევანს.

### **XI.15 მოსწავლეს შეუძლია მონაცემთა ანალიზი და დასკვნების ჩამოყალიბება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ითვლის და იყენებს შემაჯამებელ რიცხვით მახასიათებლებს დაუჯგუფებელ მონაცემთა ერთობლიობების დასახასიათებლად/შესადარებლად და მოსაზრებათა/არგუმენტების შესაფასებლად;
- განსაზღვრავს მოდალურ კლასს და აფასებს საშუალოს, მედიანას და დიაპაზონს დაუჯგუფებულ მონაცემთა სიმრავლისთვის, ითვალისწინებს მათ რეალურ ვითარებაში გადაწყვეტილების მიღებისას;
- გამოთქვამს ვარაუდს ხდომილობის მოსალოდნელობის შესახებ მონაცემთა საფუძველზე (მაგალითად, ფარდობითი სიხშირის მიხედვით) და ასაბუთებს ვარაუდის მართლზომიერებას.

## შინაარსისა და მიზნების რუკა

შინაარსი	თემის კავშირი მიზნებთან და შედეგებთან	სავარაუდო ხანგრძლივობა
1	2	3
<p><b>I თავი</b>                      ტრიგონომეტრიული ფუნქციები და მათი თვისებები.                      დამოკიდებულება ერთი და იმავე არგუმენტის ტრიგონომეტრიულ ფუნქციებს შორის.                      ტრიგონომეტრიულ გამოსახულებათა გამარტივება და იგივეობათა დამტკიცება.                      ორი არგუმენტის ჯამისა და სხვაობის ტრიგონომეტრიული ფუნქციები.                      ორმაგი კუთხის ტრიგონომეტრიული ფუნქციები.                      დაყვანის ფორმულები.                      ამოცხსნათ ტრიგონომეტრიული განტოლება.  <math>y = a \sin(bx+c)</math> ფუნქცია.</p>	<p>მოსწავლეს შეუძლია ფუნქციებისა და მათი თვისებების გამოყენება რეალური ვითარების მოდელირებისას.                      მოსწავლეს შეუძლია ნამდვილ რიცხვებზე მოქმედებების შესრულება სხვადასხვა ხერხით და ამ მოქმედებათა შედეგის შეფასება.                      მოსწავლეს შეუძლია გრაფიკული, ალგებრული მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენება ფუნქციის/ ფუნქციათა ოჯახის თვისებების შესასწავლად.</p>	34 სთ
საკონტროლო წერა №1		1 სთ
<p><b>II თავი</b>                      წრფეთა პარალელურობის ნიშანი. წრფისა და სიბრტყის პარალელურობა.                      სიბრტყეთა პარალელურობა. მოცანები კვეთების აგებაზე.</p>	<p>მოსწავლეს შეუძლია დედუქციურ/ ინდუქციური მსჯელობის და ალგებრული ტექნიკის გამოყენება გეომეტრიულ დებულებათა დასამტკიცებლად.                      მოსწავლეს შეუძლია სივრცული ფიგურის კვეთებისა და გეგმილების გამოყენება სივრცული ფიგურის შესასწავლად.                      მოსწავლეს შეუძლია შემთხვევითობის ალბათური მოდელების საშუალებით აღწერა.</p>	16 სთ
საკონტროლო წერა №2		1 სთ

1	2	3
<p><b>III თავი</b></p> <p>ხარისხი ირაციონალური მაჩვენებლით.</p> <p>მაჩვენებლიანი ფუნქცია.</p> <p>ლოგარითმი.</p> <p>ლოგარითმის თვისებები.</p> <p>შექცეული ფუნქცია.</p> <p>ლოგარითმული ფუნქცია.6</p> <p>მაჩვენებლიანი და ლოგარითმული განტოლებები.</p> <p>მაჩვენებლიანი განტოლება.</p> <p>ლოგარითმული განტოლება.</p> <p>მაჩვენებლიანი და ლოგარითმული უტოლობები.</p> <p>ნახევრადლოგორითმული ბადე.</p>	<p>მოსწავლეს შეუძლია ფუნქციებისა და მათი თვისებების გამოყენება რეალური ვითარების მოდელირებისას.</p> <p>მოსწავლეს შეუძლია ნამდვილ რიცხვებზე მოქმედებების შესრულება სხვადასხვა ხერხით და ამ მოქმედებათა შედეგის შეფასება.</p> <p>მოსწავლეს შეუძლია რიცხვთა პოზიციური სისტემების/ნამდვილ რიცხვთა სიმრავლეების ერთმანეთთან დაკავშირება.</p> <p>მოსწავლეს შეუძლია გრაფიკული, ალგებრული მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენება ფუნქციის/ფუნქციათა ოჯახის თვისებების შესასწავლად.</p>	<p>32 სთ</p>
<p><b>საკონტროლო წერა №3</b></p>		<p>1 სთ</p>
<p><b>IV თავი</b></p> <p>ფიგურათა პარალელური დაგეგმილება.</p> <p>კუთხე ორ წრფეს შორის. წრფეთა მართობულობა.</p> <p>წრფისა და სიბრტყის მართობულობა.</p> <p>წრფისა და სიბრტყის მართობულობის ნიშანი.</p> <p>პარალელურ სიბრტყეებს შორის მანძილი.</p> <p>სამი მართობის თეორემა.</p> <p>კუთხე წრფესა და სიბრტყეს შორის. ორნახნაგა კუთხე.</p> <p>მართობული სიბრტყეები. სიბრტყეთა მართობულობის ნიშანი.</p>	<p>მოსწავლეს შეუძლია დედუქციურ/ინდუქციური მსჯელობის და ალგებრული ტექნიკის გამოყენება გეომეტრიულ დებულებათა დასამტკიცებლად.</p> <p>მოსწავლეს შეუძლია გეომეტრიული გარდაქმნების დახასიათება და მათი გამოყენება გეომეტრიული პრობლემების გადაჭრისას.</p> <p>მოსწავლეს შეუძლია სივრცული ფიგურის კვთებისა და გეგმილების გამოყენება სივრცული ფიგურის შესასწავლად.</p>	<p>26 სთ</p>
<p><b>საკონტროლო წერა №4</b></p>		<p>1 სთ</p>

1	2	3
<p><b>V თავი</b>  მიმდევრობა.  მათემატიკური ინდუქციის მეთოდი.  მიმდევრობის ზღვარი.  ზოგიერთი თეორემა ზღვართა შესახებ.  უსასრულოდ კლებადი გეომეტრიული პროგრესია.</p>	<p>მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა-დასაბუთების სხვადასხვა ხერხების გამოყენება  მოსწავლეს შეუძლია პრაქტიკული საქმიანობიდან მომდინარე პრობლემების გადაწყვეტა.  მოსწავლეს შეუძლია ნამდვილ რიცხვებზე მოქმედებების შესრულება სხვადასხვა ხერხით და ამ მოქმედებათა შედეგის შეფასება.  მოსწავლეს შეუძლია დისკრეტული მათემატიკის ცნებებისა და აპარატის გამოყენება მოდელირებისას და პრობლემების გადაჭრისას.</p>	20 სთ
საკონტროლო წერა №5		1 სთ
<p><b>VI თავი</b>  ვექტორის კოორდინატები.  ვექტორების შეკრება-გამოკლება.  ვექტორის გამრავლება რიცხვზე, კოლინეარული ვექტორები.  ორი ვექტორის სკალარული ნამრავლი.  ბრუნვითი სხეულები, ცილინდრი. კონუსი.  სფერო, ბირთვი.</p>	<p>მოსწავლეს შეუძლია ვექტორებზე ოპერაციების შესრულება და მათი გამოყენება გეომეტრიული და საბუნებისმეტყველო პრობლემების გადაჭრისას.  მოსწავლეს შეუძლია გეომეტრიული გარდაქმნების დახასიათება და მათი გამოყენება გეომეტრიული პრობლემების გადაჭრისას.  მოსწავლეს შეუძლია სივრცული ფიგურის კვეთებისა და გეგმილების გამოყენება სივრცული ფიგურის შესასწავლად.  მოსწავლეს შეუძლია გრაფიკული, ალგებრული მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენება ფუნქციის/ფუნქციათა ოჯახის თვისებების შესასწავლად.</p>	14 სთ
საკონტროლო წერა №6		1 სთ
<p><b>VII თავი</b>  კომბინატორული ამოცანები.  გადანაცვლება, ნყობა.  ჯუფთება.  ნყობა განმეორებით.  ამოვხსნათ ამოცანები ალბათობათა თეორიიდან.  გეომეტრიული ალბათობა.  დაგროვილი სიხშირე. რანგი.  ოგივა.  ცენტრალური ტენდენციის საზომები.</p>	<p>მოსწავლეს შეუძლია დასმული ამოცანის ამოსახსნელად საჭირო მონაცემების მოპოვება.  მოსწავლეს შეუძლია მონაცემთა წარმოდგენა ამოცანის ამოსახსნელად ხელსაყრელი ფორმით და მათი ინტერპრეტაცია.  მოსწავლეს შეუძლია შემთხვევითობის ალბათური მოდელების საშუალებით აღწერა.  მოსწავლეს შეუძლია მონაცემთა ანალიზი და დასკვნების ჩამოყალიბება.  მოსწავლეს შეუძლია დისკრეტული მათემატიკის ცნებებისა და აპარატის გამოყენება მოდელირებისას და პრობლემების გადაჭრისას.</p>	21 სთ
საკონტროლო წერა №7		

## მოსწავლის შეფასების სისტემა

### მოსწავლის შეფასების მიზანი, პრინციპები და მიდგომები

1. მოსწავლის შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვასა და კონტროლს.
2. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება უნდა იყოს ხშირი და მრავალმხრივი; მან ხელი უნდა შეუწყოს: მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას, მათი შესაძლებლობების გამოვლენას, სხვადასხვა პოტენციალის მქონე მოსწავლეთათვის თანაბარი პირობების შექმნას.
3. მოსწავლე უნდა შეფასდეს სხვადასხვა ფორმებით (ესე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ჩატარება, ცდის ჩატარება, წარმოდგენა, წერითი, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი, არგუმენტირებული მსჯელობა და სხვ.).

### განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება

1. სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.
2. განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. განმსაზღვრელ შეფასებაში იწერება ქულა.
3. განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორცაა სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა და სხვ.
4. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების აღწერილობა

	<b>განმავითარებელი</b>	<b>განმსაზღვრელი</b>
მიზანი	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება;  მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა	სწავლის ხარისხის გაკონტროლება; მოსწავლის მიღწევის დონის დადგენა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში; აკადემიური მოსწავლის დონის განსაზღვრა
შეფასების საგანი	სწავლის პროცესი	სწავლის შედეგი
შეფასების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება	წინსვლის ხელშესაწყობად განსხვავებული აქტივობის შერჩევა, სწავლების სტრატეგიის შეცვლა, რჩევა-დარიგების მიცემა და სხვ.	მომდევნო ეტაპზე (კლასში/საფეხურზე) დაშვება/არდაშვება
წარმართების კრიტერიუმების განსაზღვრა	კონკრეტული მოსწავლის წინსვლის საფუძველზე (საკუთარ მიღწევებთან მიმართებით - რა დონეს ფლობდა, რა დონეს ფლობს)	იმის საფუძველზე, თუ რამდენად მიაღწია სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს (ყველასათვის საერთო, სტანდარტით დადგენილ ნორმასთან მიმართებაში)
შეფასების საშუალებები	თვით/ურთიერთშეფასების რუბრიკა; კითხვარი; სიტყვიერი (ზეპირი/წერილობითი) კომენტარი; უნარის განვითარების დონის აღწერა.	ქულა

მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით

ქულები	შეფასების დონეები
10	მაღალი
9	
8	საშუალოზე მაღალი
7	
6	საშუალო
5	
4	საშუალოზე დაბალი
3	
2	დაბალი
1	

### საგნის სემესტრული ქულის შემადგენელი კომპონენტები

- სემესტრის მანძილზე მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით:
  - საშინაო დავალება;
  - საკლასო დავალება;
  - შემაჯამებელი დავალება.
- შეფასების სამივე კომპონენტს ერთნაირი წონა აქვს.
- საშინაო და საკლასო დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.
- შემაჯამებელი დავალების კომპონენტში აუცილებელია განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება.
- ეროვნული სასწავლო გეგმა თითოეული საგნისათვის განსაზღვრავს სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალურ რაოდენობას. ამ კომპონენტით შეფასებისას:
  - სტანდარტის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, აუცილებელია შემაჯამებელი დავალების მრავალგვარი ფორმის გამოყენება (თხზულება, მოხსენება, რეფერატი, პროექტი, საველე-გასვლითი სამუშაო, ლაბორატორიული კვლევა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში და სხვ.);
  - მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება (ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი სავალდებულო მინიმუმი და სკოლის მიერ დამატებით დადგენილი, ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში);
  - თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ სამუშაოს გაცდენის გამო, სკოლა ვალდებულია, მისცეს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის საშუალება. შემაჯამებელი აღდგენითი სამუშაოს ვადები და მისი ჩატარების ფორმა განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით.

### განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასების შემდეგი სახეობები:

- საგნის მიმდინარე და შემაჯამებელი ქულები – საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი კომპონენტის ქულები, რომლებსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში;
- საგნის სემესტრული ქულა – საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში (სემესტრული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, გამოითვლება მისი გათვალისწინებით);

გ) საგნის წლიური ქულა – სემესტრული ქულებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. წლიურ ქულაში შეიძლება წლიური გამოცდის ქულაც აისახოს, თუ ასეთი გამოცდა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით და სკოლის მიერ განსაზღვრულია, რომ მას გავლენა ექნება საგნის წლიურ ქულაზე;

დ) საერთო წლიური ქულა – საგნების წლიური ქულებიდან გამომდინარე შეფასება;

ე) საფეხურის საერთო ქულა – ზოგადი განათლების რომელიმე საფეხურის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) საერთო შეფასება.

### **ქულების გამოანგარიშების წესი**

1. საგნის სემესტრული ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში სამივე კომპონენტში (საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი) მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობაზე;

ბ) მიღებული ქულა უნდა დამრგვალდეს მთელის სიზუსტით (მაგ., 6.15 მრგვალდება 6-მდე, 7.49 მრგვალდება 7-მდე, 8.5 მრგვალდება 9-მდე);

გ) იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად სამივე კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულებისა და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე.

2. საგნის წლიური ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) საგნის წლიური ქულის გამოსაანგარიშებლად საგნის სემესტრული ქულების ჯამი უნდა გაიყოს ორზე;

ბ) საგნის წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით (მაგ., 7.25 მრგვალდება 7-მდე, 4.49 მრგვალდება 4-მდე, 9.5 მრგვალდება 10-მდე);

გ) თუ სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს წლიური გამოცდის ჩატარებას და განსაზღვრულია, რომ ამ გამოცდის ქულაც აისახება წლიურ ქულაზე, მაშინ საგნის წლიური ქულა სამი (ორი - საგნის სემესტრული და ერთი - გამოცდის) ქულის საშუალო არითმეტიკულია (დამრგვალებული მთელის სიზუსტით).

3. საერთო წლიური ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) საერთო წლიური ქულის გამოსაანგარიშებლად უნდა შეიკრიბოს ეროვნული სასწავლო გეგმით კონკრეტული კლასისთვის გათვალისწინებული ყველა სავალდებულო საგნის წლიური ქულა (საშუალო საფეხურზე, აგრეთვე, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული არჩევითი საგნების ქულები სავალდებულო საგნების წლიურ ქულებთან ერთად) და ჯამი გაიყოს ქულების რაოდენობაზე;

ბ) საერთო წლიური ქულა მრგვალდება მეთაედის სიზუსტით (მაგ., 7.14 მრგვალდება 7.1-მდე, 8.15 მრგვალდება 8.2-მდე).

4. საფეხურის საერთო ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) საფეხურის საერთო ქულა გამოითვლება იმავე პრინციპით, რომლითაც ითვლება საერთო წლიური ქულა: ჯამდება საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის წლიური ქულა (მაგ. მათემატიკა მე-10 კლასი, მათემატიკა მე-11 კლასი, მათემატიკა მე-12 კლასი, ქართული მე-10 კლასი, ქართული მე-11 კლასი, ქართული მე-12 კლასი და ა.შ.) და ჯამი იყოფა ქულების საერთო რაოდენობაზე;

ბ) საფეხურის საერთო ქულა მრგვალდება მეთაედის სიზუსტით (მაგ., 6.43 მრგვალდება 6.4-მდე, 7.58 მრგვალდება 7.6-მდე).

# ბთავაზოთ რამდენიმე გაკვეთილის სანიშნო სცენარს

## I ტაჰი.

### 6. დაყვანის ფორმულაჰი

**რეზიუმე:** მოსწავლეები ეცნობიან დაყვანის ფორმულებს.

აქტივობის მიზანი:

მოსწავლეები ეცნობიან დაყვანის ფორმულებს სხვადასხვა ტრიგონომეტრიული ფუნქციები-სათვის, უმუშავდებათ ამ ფორმულების გამოყენების უნარ-ჩვევები.

მოსწავლეები შეძლებენ ტრიგონომეტრიული წრენიის დახმარებით თავად გამოიყვანონ ეს ფორმულაჰი.

შესწავლილი მასალის საფუძველზე შეძლებენ მოცემული ტრიგონომეტრიული ფორმულაჰი დაიყვანონ  $0^\circ$ -დან  $90^\circ$ -მდე კუთხის ტრიგონომეტრიულ ფუნქციებამდე და რიგ შემთხვევაში გამოითვალონ მათი მნიშვნელობები.

სავარაუდო ხანგრძლივობა - 1 სთ.

აქტივობის აღწერა:

1) გაკვეთილი იწყება საშინაო დავალები ანალიზით, რის შემდეგაც იწყებენ ფიქრს პარაგრაფის დასაწყისში, წყვილებისათვის განკუთვნილ დავალებაზე (10 წთ).

2) შემდეგ წყვილების მიერ ხდება მათი ნააზრევის პრეზენტაცია. მოსწავლეებისთვის თვალსაჩინოა ერთეულოვან წრენიზე მიღებული სამკუთხედების ტოლობა, რის შედეგადაც ადვილად დაინახავენ, რომ  $\sin 240^\circ = -\sin 60^\circ$  (5 წთ).

3) მასწავლებელი განმარტავს, თუ რას ეწოდება დაყვანის ფორმულაჰი და კითხვა-პასუხის რეჟიმში, წიგნში მოცემული თვალსაჩინოების გამოყენებით, მოსწავლეებთან ერთად ამტკიცებს

$\sin\left(\frac{\pi}{2} - \alpha\right) = \cos \alpha$ ,  $\cos\left(\frac{\pi}{2} + \alpha\right) = \cos \alpha$  და  $\cos\left(\frac{\pi}{2} + \alpha\right) = \cos \alpha$  ფორმულებს (10 წთ).

4) მეცადინეობა გრძელდება წყვილების, ან მცირერიცხოვანი ჯგუფების მუშაობით, მოსწავლეებს გამოყავთ სინუს და კოსინუს ფუნქციებისთვის დაყვანის ფორმულაჰი, 5) აქტივობის გაფართოება-გაღრმავების მიზნით ვიხილავთ პარაგრაფში გარჩეულ მაგალითებს (5 წთ);

5) მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს და აძლევს საშინაო დავალებას (5 წთ).

## II ტაჰი.

### 3. სიბრტყეთა მართობულობა

**რეზიუმე:** მოსწავლეები ეცნობიან სიბრტყეთა პარალელობას, სიბრტყეთა პარალელობის ნიშანს, პარალელური სიბრტყეების მესამე სიბრტყით კვეთისას მიღებული წრფეებისა და მონაკვეთების თვისებებს.

აქტივობის მიზანი:

მოსწავლეები ეცნობიან პარალელური სიბრტყეების თვისებებს და ნიშნებს, იძენენ მიღებული ცოდნის გამოყენების უნარ-ჩვევებს.

მოსწავლეები შეძლებენ, ამოცანის კონტექსტის გათვალისწინებით, ამოიცნონ პარალელური სიბრტყეები, ამოარჩიონ ამ სიბრტყეების მესამე სიბრტყით კვეთისას მიღებული პარალელური წრფეები და ტოლი მონაკვეთები;

სავარაუდო ხანგრძლივობა -1 გაკვეთილი.

აქტივობის აღწერა:

- 1) გაკვეთილი იწყება საშინაო დავალების ანალიზით, რის შემდეგაც მასწავლებელი განმარტავს პარალელურ სიბრტყეებს, და თხოვს მოსწავლეებს დაასახელონ პარალელურ სიბრტყეთა წყვილები: საკლასო ოთახის მაგალითზე, მათ გარშემო მდე ბარე საგნების მაგალითზე (5 წთ)
- 2) შემდეგ მასწავლებელი კითხვა-პასუხის რეჟიმში ახსენებს მოსწავლეებს რას წარმოადგენს რაიმე ფაქტის ნიშანი, საწინააღმდეგოს დაშვების მეთოდი და ამტკიცებს სიბრტყეთა პარალელობის ნიშანს (10 წთ);
- 3) შემდეგ წყვილები მუშაობენ პარაგრაფში მათთვის განკუთვნილ დავალებაზე და ახდენენ ნამუშევრის პრეზენტაციას (5 წთ);
- 4) მასწავლებელი აყალიბებს პარალელური სიბრტყეების მესამე სიბრტყით კვეთისას მიღებული წრფეების და მონაკვეთების თვისებებს და ამტკიცებს მათ მოსწავლეებთან აქტიური თანამშრომლობის რეჟიმში (10 წთ).
- 5) გაკვეთილი გრძელდება წყვილებში ან მცირერიცხოვან ჯგუფებში მუშაობით. მოსწავლეები ასრულებენ წიგნში წყვილებისთვის განკუთვნილ მეორე დავალებას და ახდენენ ნამუშევრის პრეზენტაციას (10წთ).
- 6) აქტივობის გაფართოება- გაღრმავების მიზნით ვიხილავთ პარაგრაფში გარჩეულ ამოცანას, მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს და აძლევს საშინაო დავალებას (5 წთ).

### III თაპი.

## 6. ლოგარითმული ფუნქცია

**რეზიუმე:** მოსწავლეები ეცნობიან ლოგარითმულ ფუნქციას, მის გრაფიკს, ფუნქციის თვისებებს.

აქტივობის მიზანი:

მოსწავლეები ეცნობიან ლოგარითმულ ფუნქციას, ფუნქციის თვისებებს, დაეუფლებიან ამ თვისებების გამოყენების უნარ-ჩვევებს პრობლემის გადასაჭრელად. მოსწავლეები შეძლებენ ამოცანის კონტექსტის გათვალისწინებით გამოიყენონ ლოგარითმული ფუნქციის ესა თუ ის თვისება. შესწავლილი მასალის საფუძველზე შეძლებენ დაადგინონ  $\log_a x - 1$  -ის ნიშანი, შეადარონ ერთმანეთს ტოლფუძიანი ლოგარითმები.

სავარაუდო ხანგრძლივობა - 1სთ;

აქტივობის აღწერა:

- 1) გაკვეთილი იწყება საშინაო დავალების ანალიზით, რის შემდეგაც მასწავლებელი ახსენებს, რომ  $y=a^x$ ,  $a>0$  და  $a\neq 1$  ფუნქციის შექცეული ფუნქციაა  $y=\log_a x$  (10წთ).
- 2) შემდეგ ხაზავენ  $y=a^x$  ფუნქციის გრაფიკებს ( $a>1$  და  $a\in(0;1)$  შემთხვევებისთვის) და  $y=x$  წრფის მიმართ სიმეტრიით თითოეული შემთხვევისთვის აგებენ  $y=\log_a x$  ფუნქციის გრაფიკებს (10 წთ);
- 3) შემდეგ კითხვა-პასუხის რეჟიმში აყალიბებენ ლოგარითმული ფუნქციის თვისებებს (10 წთ).
- 4) აქტივობის გაფართოება-გაღრმავების მიზნით მასწავლებელი ავლევს მოსწავლეებს იფირონ წიგნში მოცემულ, წყვილებისთვის განკუთვნილ დავალებებზე, რის შემდეგ ხდება ამ ნამუშევრების პრეზენტაცია (10 წთ);
- 5) მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს და აძლევს საშინაო დავალებას (5 წთ).

## IV თავი.

### 2. კუთხე ორ წრფეს შორის. წრფეთა მართობულობა

**რეზიუმე:** მოსწავლეები ეცნობიან სივრცეში მდებარე წრფეებს (მკვეთი, პარალელური, მკვეთი) შორის კუთხის ცნებას, მართობული წრფეების განმარტებას.

აქტივობის მიზანი:

მოსწავლეები ეცნობიან ორ წრფეს შორის კუთხის ცნებას, ამ კუთხის გამოთვლის წესის დაუფლებას, გამოიმუშავენ კუთხის პოვნის წესის გამოყენების უნარ-ჩვევას.

მოსწავლეები შეძლებენ, ამოცანის კონტექსტის გათვალისწინებით, შეარჩიონ შესაბამისი გზა და შეასრულონ შესაბამისი ნახაზი ორ წრფეს შორის კუთხის გამოსათვლელად.

შესწავლილი მასალის საფუძველზე, შეძლებენ ტოლი კუთხეების ამორჩევას და მათ შორის მეტ-ნაკლებობის დადგენას.

სავარაუდო ხანგრძლივობა -1 გაკვეთილი.

აქტივობის აღწერა:

1) გაკვეთილი იწყება საშინაო დავალების ანალიზით, რის შემდეგაც ვთხოვთ დაასახელონ პარალელური, თანამკვეთი და აცდენილი წრფეები (საკლასო ოთახის მაგალითზე) (5 წთ).

2) შემდეგ განვმარტავთ კუთხეს აცდენილ წრფეებს შორის და ვაყალიბებთ ამ კუთხის პოვნის წესს, რის შემდეგაც უკვე შესაძლებელია განიმარტოს ნებისმიერ ორ წრფეს შორის კუთხე და წრფეთა მართობულობა სივრცეში (10 წთ).

3) მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს წყვილებში შეასრულონ ნიგნში მოცემული, წყვილები-სათვის განკუთვნილი ამოცანა, რის შემდეგაც რომელიმე წყვილი ახდენს ნამუშევრის პრეზენტაციას (10 წთ).

4) მასწავლებელი კითხვა-პასუხის რეჟიმში იხილავს პარაგრაფში გარჩეულ ორ ამოცანას (10 წთ).

5) აქტივობის გაფართოვება-გაღრმავების მიზნით, შესაძლოა დისკუსიის ფორმაც, იხილავენ პარაგრაფში მოცემულ ინდივიდუალურ შეკითხვებს (5 წთ).

6) მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს და აძლევს საშინაო დავალებას (5 წთ).

## V თავი.

### 3. მიმდევრობის ზღვარი

**რეზიუმე:** მოსწავლეები ეცნობიან მიმდევრობის ზღვრის განმარტებას, მიმდევრობის ზღვრის გეომეტრიულ ინტერპრეტაციას.

აქტივობის მიზანი:

მოსწავლეები ეცნობიან მიმდევრობის ზღვრის განმარტებას, ზღვრის განმარტების გამოყენების უნარ-ჩვევას.

მოსწავლეები შეძლებენ აჩვენონ, რომ მოცემული მიმდევრობის ზღვარი მოცემული რიცხვია, ან რიგ შემთხვევებში თავად იპოვონ მიმდევრობის ზღვარი.

სავარაუდო ხანგრძლივობა -1 გაკვეთილი.

აქტივობის აღწერა:

1) გაკვეთილი იწყება საშინაო დავალების ანალიზით, რის შემდეგაც იხილება პარაგრაფის დასაწყისში მოცემული ინდივიდუალური დავალებები, დაადგენენ მოცემულ მიმდევრობებს

შორის რომელია მონოტონური, ამოარჩევინ მათ შორის ისეთ მიმდევრობებს, რომელთა არცერთი წევრი არ აღემატება წინასწარ მოცემულ რიცხვს. (10 წთ).

2) გაკვეთილი გრძელდება წიგნში მოცემული, ინდივიდუალური დავალებით, რის შედეგადაც მასწავლებელს უკვე აქვს შესაძლებლობა, განმარტოს მოცემული რიცხვის  $\epsilon$  მიდამო (5 წთ).

3) კითხვა-პასუხის რეჟიმში იხილავენ პარაგრაფში მოცემულ დავალებას, რის შემდეგაც მასწავლებელი განმარტავს მიმდევრობის ზღვარს (10 წთ).

4) განმარტების უკეთ გასააზრებლად მასწავლებელი ახდენს მიმდევრობის ზღვრის გეომეტრიულ ინტერპრეტაციის პრეზენტაციას (5 წთ).

5) აქტივობის გაფართოვება-გაღრმავების მიზნით, იხილავენ პარაგრაფში გარჩეულ მაგალითებს (10 წთ).

6) მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს და აძლევს საშინაო დავალებას (5 წთ).

## VI ტაჰი.

### 4. ორი ვექტორის სკალარული ნამრავლი

**რეზიუმე:** მოსწავლეები ეცნობიან ვექტორების სკალარული ნამრავლის განმარტებას და გამოთვლის წესს.

აქტივობის მიზანი:

მოსწავლეები ეცნობიან ვექტორების სკალარულ ნამრავლის განმარტებას და ეუფლებიან ამ ნამრავლის გამოთვლის წესს. შეიმუშავენ ამ წესის გამოყენების უნარ-ჩვევებს.

მოსწავლეები შეძლებენ ამოცანის კონტექსტის გათვალისწინებით გამოიყენონ ვექტორების სკალარული ნამრავლი ამა თუ იმ პრობლემის გადასაწყვეტად.

შესწავლილი მასალის საუძველზე შეძლებენ ვექტორის სიგრძის გამოთვლას, მვექტორებს შორის კუთხის სიდიდის პოვნას.

სავარაუდო ხანგრძლივობა - 1სთ.

აქტივობის აღწერა:

1) გაკვეთილი იწყება საშინაო დავალების ანალიზით, რის შემდეგაც მასწავლებელი აძლევს ორი ვექტორის სკალარული ნამრავლის განმარტებას (5 წთ).

შემდეგ კითხვა-პასუხის რეჟიმში მასწავლებელი ამტკიცებს, რომ ვექტორის სკალარული კვადრატი ამ ვექტორის სიგრძის კვადრატის ტოლია და ავალებს მოსწავლეებს, იფიქრონ პარაგრაფში მოცემულ წყვილებისთვის განკუთვნილ ამოცანაზე (10 წთ).

2) წყვილები ახდენენ თავიანთი ნამუშევრის პრეზენტაციას (5 წთ).

3) ამის შემდეგ მასწავლებელი ამტკიცებს, რომ  $\vec{a} \cdot \vec{b} = |\vec{a}| \cdot |\vec{b}| \cdot \cos \alpha$ , სადა  $\alpha$  და  $\vec{b}$  ვექტორებს შორის კუთხეა (10 წთ).

4) აქტივობის გაფართოვება-გაღრმავების მიზნით, გაირჩევა წიგნში ამოხსნილი სამი ამოცანა (10 წთ).

5) მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს და აძლევს საშინაო დავალებას (5 წთ).

## VII თავი. 3. ჯუფთება

**რეზიუმე:** მოსწავლეები ეცნობიან  $n$  ელემენტიდან  $m$  ელემენტისანი ჯუფთების გამოსათვლელ ფორმულას, ნიუტონის ბინომს.

აქტივობის მიზანი:

მოსწავლეები ეცნობიან ჯუფთების გამოსათვლელ ფორმულას, ეუფლებიან მისი გამოთვლის წესს და შეიმუშავენ ამ წესის გამოყენების უნარ-ჩვევებს.

შეარჩიონ ამოცანის ამოხსნის გზა და შეარჩიონ შესაბამისი ფორმულა (წყობა, გადანაცვლება, ჯუფთება).

შესწავლილი მასალის საფუძველზე შეძლებენ გაამარტივონ ჯუფთების, წყობის, გადანაცვლების შემცველი გამოსახულებები, დათვალონ ამა თუ იმ ხდომილობის ალბათობა, იპოვონ ბინომის დაშლის ამა თუ იმ წევრის კოეფიციენტი.

სავარაუდო ხანგრძლივობა -1 გაკვეთილი.

აქტივობის აღწერა:

1) გაკვეთილი იწყება საშინაო დავალების ანალიზით, რის შემდეგაც მასწავლებელი მოსწავლეებთან აქტიური თანამშრომლობით იხილავს პარაგრაფის დასაწყისში მოცემულ ამოცანას, რის შემდეგაც განმარტავს  $n$  ელემენტიდან  $m$  ელემენტისანი ჯუფთებას (10 წთ).

2) შემდეგ კითხვა-პასუხის რეჟიმში ამტკიცებენ ფორმულას  $C_n^m = \frac{n!}{(n-m)!m!}$  (5 წთ);

3) შემდეგ მოსწავლეები, მასწავლებლის დახმარებით, იხილავენ მათთვის განკუთვნილ ინდივიდუალურ დავალებას, რის შემდეგაც უკვე ხსნიან პარაგრაფის დასაწყისში მოცემულ ამოცანას (10 წთ);

4) შემდეგ მასწავლებელი ამტკიცებს  $C_n^m = C_n^{n-m}$  და  $C_n^0 + C_n^1 + \dots + C_n^n = 2^n$  ფორმულებს და პასუხის საძიებლის განხილვის შემდეგ წერს ნიუტონის ბინომს (10 წთ);

5) აქტივობის გაფართოვება-გაღრმავების მიზნით ვიხილავთ პარაგრაფში გარჩეულ ამოცანებს (5 წთ);

6) მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს და აძლევს საშინაო დავალებას (5 წთ).

# I ტაპი

## 1. ტრიგონომეტრიული ფუნქციები და მათი თვისებები

### რეზიუმე:

ტრიგონომეტრიულ ფუნქციებსა და თვისებებს მოსწავლეები X კლასში გაეცნენ. მათ იციან ტრიგონომეტრიული წრენიერი, მასზე ნებისმიერი წერტილის შესაბამისი კუთხის გრადუსული და რადიანული ზომის განსაზღვრა წერტილის კოორდინატების მიხედვით და პირიქით კოორდინატებით კუთხის პოვნა, იციან ზოგიერთი კუთხის ტრიგონომეტრიულ ფუნქციათა მნიშვნელობები. შევეცადოთ კითხვებითა და გარკვეული მითითებებით გავისვენოთ ტრიგონომეტრიულ ფუნქციათა თვისებები, გრაფიკები.

### ამოხსნები, მითითებები:

7. წრეზე ერთი მიმართულებით მოძრაობის დროს მათ შორის მანძილი იფარება სიჩქარეების სხვაობით. თუ გავითვალისწინებთ, რომ A და B წერტილებს შორის მანძილი  $90^\circ$ -ია, ეს მანძილი უნდა დაიფაროს სიჩქარით  $(60-42)^\circ$ /სთ-ში სიჩქარით, ე.ი. პირველი შეხვედრა მოხდება  $\frac{90}{18}=5$  წთ-ში, მეორე შეხვედრა  $\frac{360+90}{18}=25$ წთ-ში. k-ური შეხვედრა  $\frac{360(k-1)+90}{18}=2k-15$  წთ-ში.

8. წრეზე საწინააღმდეგო მოძრაობის დროს მათ შორის მანძილი იფარება სიჩქარეების ჯამით, ე.ი. ა) პირველი შეხვედრა მოხდება  $\frac{90}{20+25}=2$  წთ-ში, ბ) მეორე შეხვედრა  $\frac{450}{45}=10$ წთ-ში. გ) k-ური შეხვედრა  $\frac{360(k-1)+90}{45}=(8k-6)$  წთ-ში.

9. ვაჩვენოთ სამკუთხედის უტოლობით.

10.  $x^2+y^2-2x-2y+1=0$

$$(x-1)^2+(y-1)^2=1$$

$$\begin{cases} (x-1)^2=0 \\ (y-1)^2=1 \end{cases} \text{ ან } \begin{cases} (x-1)^2=1 \\ (y-1)^2=0 \end{cases}$$

$$(1;2) (1;0)$$

$$(2;1) (0;1)$$

11.  $f(x)=x^2-5x-6$        $g(x)=x^2$

$$f(g(x))=(x^2)^2-5x^2-6$$

$$x^4-5x^2-6=0$$

$$x^2 \neq -1 \quad x^2=6, \text{ ე.ი. } x=\pm\sqrt{6}.$$

13. პირველი განტოლებიდან  $\{x\}=2$   $\{y\}=0,3$ . მეორედან  $\{y\}=1$ ;  $\{x\}=0,2$ , თუ გავითვალისწინებთ, რომ  $\{x\}+\{x\}=x$ . მივიღებთ:  $x=2,2$ ;  $y=1,3$ .

14. პერიოდულია, თუ მუდმივია, ე.ი.  $a+3=0$ .

## 2. დამოკიდებულება ერთი და იმავე არგუმენტის ტრიგონომეტრიულ ფუნქციებს შორის

### რეზიუმე:

ფორმულათა ცხრილში მოცემული პირველი მე-6 და მე-7 იგივეობები მოსწავლეთათვის ცნობილია X კლასის კურსიდან. დანარჩენების გამოყენა ისევ მათ დავავალოთ. ყურადღება გავამახვილოთ  $\pm$  ნიშანზე. ნრენირზეც დავანახოთ, თუ როგორ შეესაბამება სინუსის და კოსინუსის თითოეულ მნიშვნელობას, კოფუნქციის ორი მნიშვნელობა. ჩამოაყალიბონ, თუ როგორ უნდა შეირჩეს შესაბამისი ნიშანი.

### ამოხსნები, მითითებები:

1. ა)  $\sin \alpha = \frac{3}{5}$   $\alpha \in (0; \frac{\pi}{2})$  I მეოთხედი, ე.ი.  $\cos \alpha = \sqrt{1 - \frac{9}{25}} = \frac{4}{5}$ .

$$\operatorname{tg} \alpha = \frac{\sin \alpha}{\cos \alpha} = \frac{3}{4}. \operatorname{ctg} \alpha = \frac{1}{\operatorname{tg} \alpha} = \frac{4}{3}.$$

3.  $\operatorname{tg} \alpha = -\frac{1}{3}$   $\alpha \in (\frac{\pi}{2} + \pi)$  II მეოთხედი.  $\operatorname{ctg} \alpha = \frac{1}{\operatorname{tg} \alpha} = -3$ .

$$1 + \operatorname{tg}^2 \alpha = \frac{1}{\cos^2 \alpha}, \text{ საიდანაც } \cos \alpha = -\frac{3}{\sqrt{10}}. \sin \alpha = \operatorname{tg} \alpha \cdot \cos \alpha = \frac{1}{\sqrt{10}}.$$

2. ა)  $\frac{2 \sin x - 5 \cos x}{4 \cos x + 3 \sin x} =$  გავყოთ  $\cos x$ -ზე.

$$\frac{2 \operatorname{tg} x - 5}{4 + 3 \operatorname{tg} x} = \frac{1}{13}.$$

ბ)  $\frac{(\sin x - \cos x)^2}{\sin^2 x + 2 \sin x \cos x} = \frac{\sin^2 x - 2 \sin x \cos x + \cos^2 x}{\sin^2 x + 2 \sin x \cos x} = \frac{\operatorname{tg}^2 x - 2 \operatorname{tg} x + 1}{\operatorname{tg}^2 x + 2 \operatorname{tg} x} = \frac{4}{15}.$

გ)  $\frac{7 \cos x + 3 \sin^2 x \cos x + 3 \cos^3 x}{4 \sin x + 3 \cos x} = \frac{7 \cos x + 3 \cos x}{4 \sin x + 3 \cos x} = \frac{10}{4 \operatorname{tg} x + 3} = \frac{2}{3}.$

